საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიონის მთავარი ქედი

კავკასიონის მთავარი ქედი, კავკასიონის ოროგრაფიული ღერძი, ვრცელდება ტამანის ნახევარკუნძულიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე. მთათა სისტემის ყველაზე ამაღლებული ნაწილია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რ-იც ყოფს ჩრდ. კავკასიისა და სამხრ. კავკასიის მდინარეთა აუზებს. მდებარეობს მდ. ბელაიას (ყუბანის - მარცხ. შენაკადი) სათავეებსა და ადაი-ხოხის მთათა ჯგუფს შორის.

ქედი აგებულია პალეოზოურპროტეროზოური კრისტალური ქანებით, სხვაგან – ძირითადად მეზოზოური თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. საქართვ. ტერიტორიაზე უმაღლესი მწვერვალია შხარა (5068 მ). მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: ჯვრის უღელტეხილი, მამისონის უღელტეხილი, ბეჩო, კლუხორის უღელტეხილი, მარუხის უღელტეხილი და სხვ. დამახასიათებელია მთა-ტყის, სუბალპ., ალპ. და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტები. იხ. აგრეთვე კავკასიონი.

ლ. მარუაშვილი